საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.72.14.044.618*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: *92012108542*
მიწის ნაკვეთის ფართობი: *700* კვ.მ.
დანიშნულება: *სასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 21.11.12



81/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა	ვალდებულება	ხაზობრივი ნაგებობა	
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	მშენებარე ნაგებობა	მიწისქვეშა ნაგებობა	UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

ქალაქ თბილისის მერია

174

განკარგულება №.....

„ 31 „ იანვარი 2014 წ.

ქ.თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.044.618), საოფისე და საწარმო შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №3 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.044.618), საოფისე და საწარმო შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე დავით ნინიძე

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი 23 იანვარი 2014 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე: გიორგი გოგოლაშვილი

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი: კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე, მერაბ გუჯეჯიანი, დავით აბულაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: მ. ჩხენკელი, ირ. მელაძე, გ. კავთელიშვილი, ნ. დეჭვილი, ი. წიკლაური, ირ. მაზიაშვილი, ვ. კილაძე, დ. ჯარიაშვილი, რ. ჩანტლაძე, კ. მორბედაძე, მ. ცერცვაძე, კ. კობალაძე, მ. კვესელავა, კ. გოგუა, გ. აფრიაშვილი, ლ. აფრიაშვილი, თ. მანია, ნ. კაპანაძე, გ. ქებაძე, ს. პაქსაშვილი, ა. ნარეკლიშვილი, გ. ალავერდაშვილი,გ. აბულაძე, გ. ბერიძე, ბ. გაბაიძე, ს. ჭელიძე, ვ. ვარდანია, რ. კვარაცხელია, ი. კაპანაძე, ვ. პაპიაშვილი, ი. გეფერიძე, ს. კევლიშვილი, თ. მურვანიძე, ვ. აბრამიშვილი, ნ. ლიპარტელიანი, დ. მომმანიშვილი, დ. ლოსაბერიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

46. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ჩოლოყაშვილის ქ. II კვარტალის №4 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.229) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

47. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.044.618) საოფისე და საწარმო შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

48. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქ. №3დ–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

49. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.036.470) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

50. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ ლისიში, „ხოდაბუნებში“ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.007.222) ინდივიდუალური საცხოვერბელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

51. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ ლისიში, „ხოდაბუნებში“ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.007.221) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

52. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შეშელიძის ქ. №3–ში (ფეიქრების ქუჩა №14) არსებულ მიწის ნაკვეთებზე №01/1272 ბრძანებით გაცემული მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, საოფისე, სავაჭრო–საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, მრავალბინიანი საცხოვრებელი და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის გაუქმების მიზანშეწონილობის შესახებ.

53. ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 აპრილის №1021 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ნაცვლად “ქ. თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.27.848) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.“

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის #7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის #06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 7, წინააღმდეგი: 1.

46. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ჩოლოყაშვილის ქ. II კვარტალის №4 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.229) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ვ. დოხნაძე. AR 1191649.
დადგენილი პარამეტრები –კ1=0,7.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ1=0,8.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია. განისაზღვროს რეგულირების ხაზები.
- მისაღებია. განესაზღვროს რეგულირების ხაზი დასავლეთის მხრიდან დირსიჭალის ტერიტორიასთან დამაკავშირებელი გზის გაფართოვების პერსპექტივისთვის.
- მისაღებია. დასადგენია რეგულირების ხაზი დასავლეთის მხრიდან.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. განისაზღვროს რეგულირების ხაზი დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან.
- მისაღებია. დაზუსტდეს რეგულირების ხაზი.
- არ არის მისაღები.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ჩოლოყაშვილის ქ. II კვარტალის №4 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.229) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაღვროს: კ1=0,8.

განხილვის შედეგი: მომხრე: 7, წინააღმდეგი: 1.

47. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.044.618) საოფისე და საწარმო შენობა–

ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – გ. თურმანიძე. **AR 1191919.**
დადგენილი ზონის სახეობა – საცხოვრებელი ზონა 3.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია რეგულირების ხაზის დაცვით.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია 10 მეტრიანი რეგულირების ხაზის დაცვით.
- მისაღებია 10 მეტრიანი რეგულირების ხაზის დაცვით.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.044.618) საოფისე და საწარმო შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 7, წინააღმდეგი: 1.

48. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქ. №3დ–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – მ. დავითაშვილი. **AR 1191770.**
დადგენილი ზონის სახეობა – საცხოვრებელი ზონა 2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.

წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,8, კ2=2,6.“

განხილვის შედეგი: მომხრე: 7, წინააღმდეგი: 1.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე: გიორგი გოგოლაშვილი

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი: კახაბერ ნიაური